საბაკალავრო პროგრამის დასახელება: არმენოლოგია / Armenology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Armenology

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: ასოცირებული პროფესორი ზაზა ალექსიძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
პროგრამის მიზანი:
პროგრამა მიზნად ისახავს, მომზადოს ბაკალავრი არმენოლოგიის მიმართულებით როგორც პრაქტიკული ისე სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის. ამისათვის იგი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დაეუფლება ისეთ ძირითად დარგებს, როგორიცაა ახალი და ძველი სომხური ენები, სომხეთის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, სომხური ლიტერატურის ისტორია ასევე უძველესი დროიდან დღემდე. ვინაიდან ქართველი არმენოლოგი მზადდება ძირითადად ქართულ-სომხური ურთიერთობის სფეროში (პედაგოგიურ, სათარჯიმნო, საბიბლიოთეკო, სამუზეუმო, საექსპერტო და ა.შ.) სამუშაოდ, ბაკალავრიატის დონეზე იგი მოისმენს ისეთ საგნებსაც, როგორიცაა, ქართულ-სომხური ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები, სომხეთის რესპუბლიკის თანამედროვე მდგომარეობა, თარგმანის თეორია, გაივლის სათარჯიმნო პრაქტიკას. ზოგადად, კურსდამთავრებული არმენოლოგიურ დისციპლინებთან ერთად უნდა ფლობდეს ქართველოლოგიურსაც, მზად უნდა იყოს მათი შედარებითი ანალიზისათვის.

პროგრამამ სტუდენტი უნდა მოამზადოს შესასწავლი მასალის ზუსტად აღსაქმელად და იმავე დროს კრიტიკულად გასააზრებლად, რომ მზად იყოს საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას მიაწოდოს კვალიფიციური საექსპერტო დასკვნები და რეკომენდაციები. არმენოლოგიური დარგების პროფესიულად მცოდნე საქართველოს თითქმის ყველა სფეროში სჭირდება (პედაგოგიური და სამეცნიერო დაწესებულებები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საგარეო ურთიერთობები და დიპლომატიური მისიები, რეგიონებთან ურთიერთობა, შინაგანი და სასაზღვრო საქმეები), ამიტომ მათზე საბაზრო მოთხოვნილება გაციელებით უფრო დიდია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. სწორედ ამიტომ საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ქართველი არმენოლოგი ფართო ჰუმანიტარული ხედვის მქონე ექსპერტ-სპეციალისტად ჩამოყალიბოს.

სწავლის შედეგები:
ცოდნა და გაცნობიერება:
პროგრამის კურსდამთავრებულმა

- იცის ძველი და ახალი სომხური ენის აღწერითი გრამატიკის სრული კურსი. ფლობს როგორც სომხურს ისე შესატყვის ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიას, სომხური ენის გრამატიკული აღწერის მეთოდებს, განსხვავებულ პრინციპებს, ქართულ-სომხურ ენობრივ კონტაქტებსა და სათანადო ლიტერატურას.

- ფლობს თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებს და, აგრეთვე, სომხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად თარგმნის თავისებურებებსა და მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას.
- იცის სომხეთის ისტორია, მისი ისტორიოგრაფია და პერიოდიზაცია; საქართველოს სახელმწიფოში შესული სომხეთის ჩრდილო მხარეთა პოლიტიკური, კულტურული და ლიტერატურული სიტუაცია. სპეციალურად ეუფლება საქართველოს და სომხეთის ეკლესიების ურთიერთობის ძირითად საკითხებს.
- იცის სომხური ლიტერატურის ისტორია, მისი პერიოდიზაციის პრინციპები, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების უმთავრესი საკითხებს და სათანადო ლიტერატურას.
- იცნობს თანამედროვე სომხეთის პოლიტიკურ, ეკონომიურ, საგარეო ორიენტაციის, უშუალო მეზობლებთან (განსაკუთრებით საქართველოსთან) ურთიერთობების საკითხებს, პოლიტიკურ ძალთა განლაგებას.
- შეუძლია ახალ სომხურ ენაზე მხატვრული და სამეცნიერო ტექსტების, პრესის, იურიდიული და ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტების თავისუფლად კითხვა და მეტყველება; სომხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად წერილობით და ზეპირად თარგმნა; ძველ სომხურ ენაზე შეუძლია კლასიკური პერიოდის ტექსტების თარგმნა სომხურიდან ქართულად – რთულ შემთხვევებში ლექსიკონის გამოყენებით.
- ფლობს ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობის ძირითად საკითხებს: გრამატიკული კატეგორიებისა და სინტაქსური სტრუქტურების მსგავსება-განსხვავებას, საერთო ხმარების (ერთი წყაროდან მომდინარე) ლექსიკასა და ერთმანეთისგან ნასესხებ სიტყვებსა და ტერმინებს, ერთმანეთისაგან ძველად თარგმნილ გრამატიკულ თხზულებებს.
- ერკვევა სომხურ ისტორიოგრაფიის საკითხებზე არსებულ განსხვავებულ შეხედულებებში და შეუძლია გაერკვას მათი საბუთიანობის ოპტიმალურობაში, შეეძლოს სხვადასხვა ხასიათის წყაროს მოძებნა და გამოყენება სომხეთის ისტორიის მოცემული ეტაპისათვის; ფლობს სადავო საკითხების გადმოცემისას პოლემიკური ეთიკის ნორმებს.
- ერკვევა ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის (ძველად და ახლა) ძირითად საკითხებში: ერთმანეთისაგან თარგმნილი ლიტერატურა, საერთო ლიტერატურული ინტერესები, დოგმატიკაში განსხვავების გავლენა ლიტერატურულ კონტაქტებზე, საერთო და განსხვავებული ლიტერატურული ტერმინოლოგია.

პრაქტიკული უნარები:

- სომხური ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები.

- სომხურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი.

- საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების რედაქტირების, რეფერირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი.

- სათარჯიმნო ბიუროების ტიპიური დოკუმენტაციის და საქმიანი ქაღალდების სომხურიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის უნარი; საქმიანი საუბრების სომხურიდან ქართულად და პირუკუ სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ-ჩვევები.

- პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტურ–ტექსტოლოგიური, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში.

- ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.

ტრანსფერული უნარები:

- კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარები: სინთეზი და ანალიზი

- დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

- დამოუკიდებელი ანალიტიკური უნარის გამომუშავება შესაბამის დარგობლივ სფეროში.

- სოციალური უნარები:

- ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები. ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა.

- სისტემური უნარები

- არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; სამუშაო დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.

- საკომუნიკაციო უნარები

- დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა; სემინარებზე და სარეფერატოდ მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა.

დასაქმების სფეროები:
ბაკალავრი საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდიკური, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. ჰუმანიტარიის ბაკალავრი არმენოლოგის სპეციალობით მომზადებულია სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო დაწესებულებებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის, მან უნდა ასწავლოს სომხურ სკოლებში სომხური და ქართული დისციპლინები, იმუშაოს ბიბლიოთეკებში, სადაც მრავლად არის სომხური ლიტერატურა.

სწავლის გაგრძელების საშუალება:
ჰუმანიტარიის ბაკალავრს არმენოლოგის სპეციალობით უფლება ეძლევა, სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სასურველია, სტუდენტმა პროგრამა აირჩიოს არა უგვიანეს III სემესტრისა.

პროგრამის მოცულობა:
რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3)საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი;

შეფასების ზოგადი წესი:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
სწავლის პროცესში სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს არმენოლოგიის დეპარტამენტთან არსებული პროფ. მელიქსეთ-ბეგის სახ. ბიბლიოთეკაში დაცული უნიკალური ფონდი, რომელიც სრულიად ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, გარდა ამისა,

დეპარტამენტს საკუთარი კონტაქტების საფუძველზე შეუძლია უზრუნველყოს სრულყოფილი სათარჯიმნო პრაქტიკა როგორც თბილისში, ასევე (სათანადო დაფინანსების შემთხვევაში) სომხეთის რესპუბლიკაშიც.

major/minor პროგრამების კომბინაციები.

major	minor
არმენოლოგია	ქართული ფილოლოგია
	პედაგოგიკა
	ფილოსოფია
	საქართველოს ისტორია
	კავკასოლოგია
	ეთნოლოგია

დამატებითი (minor) პროგრამა

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: არმენოლოგია

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი ზაზა ალექსიძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია, დამატებითი კომპეტენციები მიანიჭოს ბაკალავრს არმენოლოგიის დარგში, მისცეს მას ძველი და ახალი სომხური ენების საბაზო ცოდნა, შეასწავლოს სომხეთის ისტორია, დღევანდელობა, წარმოდგენა შეუქმნას ქართულ–სომხურ ისტორიულ, კულტურულ, საეკლესიო ურთიერთობებზე.

სწავლის შედეგები:
ცოდნა და გაცნობიერება:
პროგრამის კურსდამთავრებულმა

- იცის ძველი და ახალი სომხური ენის აღწერითი გრამატიკის კურსი. ფლობს ქართულ-სომხურ ენობრივ კონტაქტებსა და სათანადო ლიტერატურას.
- ფლობს თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებს და, აგრეთვე, სომხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად თარგმნის თავისებურებებს.
- იცის სომხეთის ისტორია, მისი პერიოდიზაცია; საქართველოს სახელმწიფოში შესული სომხეთის ჩრდილო მხარეთა სიტუაცია. იცნობს საქართველოს და სომხეთის ეკლესიების ურთიერთობის ძირითად საკითხებს.
- იცის სომხური ლიტერატურის ისტორია, მისი პერიოდიზაციის პრინციპები.
- იცნობს თანამედროვე სომხეთის პოლიტიკურ, ეკონომიურ, საგარეო ორიენტაციის, უშუალო მეზობლებთან (განსაკუთრებით საქართველოსთან) ურთიერთობების საკითხებს, პოლიტიკურ ძალთა განლაგებას.
- შეუძლია სომხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად წერილობით და ზეპირად თარგმნა.

პრაქტიკული უნარები

- სომხური ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები.

- სომხურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი.

- საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების რედაქტირების, რეფერირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი.

- სათარჯიმნო ბიუროების ტიპიური დოკუმენტაციის და საქმიანი ქაღალდების

სომხურიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის უნარი; სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ-ჩვევები.

- პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი.
- ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.

ტრანსფერული უნარები

- კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარები: სინთეზი და ანალიზი
- დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.
- დამოუკიდებელი ანალიტიკური უნარის გამომუშავება შესაბამის დარგობლივ სფეროში.
- სოციალური უნარები:
- ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები. ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა.
- სისტემური უნარები
- არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; სამუშაო დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.
- საკომუნიკაციო უნარები
- დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა; სემინარებზე და სარეფერატოდ მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა.

დასაქმების სფეროები:

ბაკალავრს არმენოლოგიის დამატებითი სპეციალობა შრომით ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიანს ხდის და დასაქმების სფეროს უფართოვებს საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. ბაკალავრი არმენოლოგიის დამატებითი სპეციალობით მომზადებულია სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო დაწესებულებებში, გამომცემლობებში,

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კერძო სექტორში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა: არმენოლოგიის დამატებითი სპეციალობის ასაღებად სტუდენტს ძირითად სპეციალობად რომელიმე სხვა ენის პროგრამა არ უნდა ჰქონდეს არჩეული.

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტიანი.

დამატებითი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დამატებითი პროფესია აირჩიოს სწავლემის მეოთხე სემესტრში (დამატებითი სპეციალობის ენაში დასაგროვებელი 20 კრედიტის შესასრულებლად სტუდენტს 4 სემესტრიანი ენის კურსის გავლა მოეთხოვება, ენის პირველი საფეხური კი ლუწ სემესტრებში ცხადდება).